სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

99 კახეთის გზატკეცილი
0198 თბილისი, საქართველო
116 001
ncdc@ncdc.ge

27 ივლისი 2023

NCDC 7 23 00790392

მოქალაქე სალომე შიოშვილს

თქვენი, მიმდინარე წლის 24 ივლისის N778703 წერილის პასუხად, რომლითაც მოთხოვნილი გქონდათ მოზარდებში ფსიქიკური დარღვევების სტატისტიკა (2010-2022), წარმოგიდგენთ ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში - გთხოვთ, იხილოთ თანდართული ფაილები.

მონაცემთა მომზადებისთვის გამოყენებელ იქნა ორი წყარო: 2010-2019 წლების მონაცემები მოწოდებულია უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმის "ანგარიში ფსიქიკურ ავადმყოფთა შესახებ" მიხედვით, რომელშიც გროვდებოდა სპეციალიზებული მენტალური ჯანმრთელობის დაწესებულებების მიერ მოწოდებული აგრეგირებული ინფორმაცია.

2020 წლიდან საქართველოს მასშტაბით სრულად ამოქმედდა ამბულატორული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში დაავადებების ახალი შემთხვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა, რომლის მიხედვითაც ანგარიშს წარმოადგენს ნებისმიერი პირველადი დონის დაწესებულება, და არა მხოლოდ სპეციალიზებული მენტალური ჯანმრთელობის დაწესებულებები. 2020-2022 წლების მონაცემები მოწოდებულია აღნიშნული სისტემის საფუძველზე. ამგვარად, ორი სხვადასხვა წყაროს მონაცემები შედარებადი არ არის.

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამმართველოს უფროსი
ლალი ებანოიძე